



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 1583
25/03/2019

1583-09-2-201903251754



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გეგზავნებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული დამატებითი განმარტებითი ბარათი, განსახილველად.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა. სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 447
25/03/2019

447-09-3-201903251738



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის
უფროსს ქალბატონ მაგული კუნჭულიას
საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

დამატებითი განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებაში 2019 წლის 08 თებერვლის N2089 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 374000 ლარი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება განისაზღვრა 748000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში 2019 წლის 12 თებერვლის N214 განკარგულებით შესული ცვლილებების შედეგად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაციისათვის 155738 ლარი, თანადაფინანსების სახით უნდა მიიმართოს 8197 ლარი, სულ საპროექტო ღირებულება 163935 ლარი.

მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის ადმინისტრატორის წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა გრიგოლეთის საფეხბურთო ბაზის

მომსახურების ღონისძიებებზე გამოიყოს 10100 ლარი, დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწოლილად ჩაითვალა დამონტაჟებული იქნეს კონტროლის (600X900მმ N1) 21 ცალი - 3402 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის ვიდეო მოწყობილობა და 4 ცალი 1352 ლარის ღირებულების ინდივიდუალური პროექტირების ფარის (900X1250მმ N2) ვიდეო კონტროლის მოწყობილობა, სულ 4760 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებაში მიმდინარე წლის 8 თებერვლის საქართველოს მთავრობის N207 განკარგულებაში შესული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო 520000 ლარი, რომელიც მიიმართება საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. 120390 ლარი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება განხორციელდეს (04 05) კოდით.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის წინადადებით მიზანშეწოლილად ჩაითვალა გურიის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის „მეწარმე ქალთა ბიზნეს ფორუმი“-ს მხარდასაჭერად გამოიყოს 1500 ლარი.

აღნიშნული პროექტების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების 24557 ლარის დაფინანსება განხორციელდეს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის ზრდის ხარჯზე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ფარგლებში დაზუსტებული იქნას საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი და განისაზღვროს 363900 ლარით.

ა.ა.ი.პ. კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდეს მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 0207) საქონელი და მომსახურების მუხლი 7400 ლარით და გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ.კოდი 0301) საქონელი და მომსახურების მუხლი 900 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 6500 ლარით.

აღნიშნულის შესაბამისად ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილებები.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური